პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი შაბათი 18 ივლისი № 166 (18108)

ფასი 2 კაპ.

სოფელი: დღის საზრუნავი

რესპუბლიკაში ფართო ფრონტით მიმდინარეობს საკვების დამზადება. მექანიზატორები ზრუნავენ ზამთარში პირუტყვს საკვები არ მოაკლონ.

ცხაკაიას რაიონის ხორშის ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობა-ქარხანაში ძირითადი კულტურების მოვლა-მოყვანასთან ერთად სერიოზული ყურადღება ეთმობა მეცხოველეობის შემდგომ განვითარებას. მელიორატორების მიერ კოლხეთის ჭაობისათვის წართმეულ, წინათ მიგდებულ მიწებზე მიმდინარეობს სახენაე მწვანე მასის თიბვა. ორმოცდაათი ჰექტარიდან ყოველ ჰექტარზე საკვებმომპოვებლები იღებენ 300-300 ცენტნერ მწვანე მასას. წლიური გეგმით გათვალისწინებული 190 ტონა სენაჟის ნაცვლად, მეურნეობის მექანიზატორებმა უკვე დამზადეს 250 ტონა საკვები. ზამთრისათვის მომარაგებულია ათას ხუთასი ცენტნერი თივა.

სურათებზე: ცხაკაიას რაიონის ხორშის ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობა-ქარხნის მოწინავე მექანიზატორი ვახტანგ გრიგოლია; მიმდინარეობს სახენაე მწვანე მასის აღება.

მ. ბოსხოლელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

წლის მეორე ნახევარში ტემპი უნდა დაჩქარდეს!

ბევრი რესპუბლიკის მრეწველობამ, როგორც ცნობილია, ვადამდე შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების პირველი ნახევარწლეულის გეგმა. ეს ჭეშმარიტებაა, მაგრამ ყველა მაჩვენებლის სტატისტიკურმა შეჯამებამ ამ პერიოდში ჩვენი შრომითი მოღვაწეობის შედეგები უფრო ნათელი გახადა.

დადგინდა, რომ ამ ხნის განმავლობაში წარმოების მოცულობის ზრდის ტემპმა შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 5,2 პროცენტი შეადგინა. საშუალო რესპუბლიკურთან შედარებით უპირატესი ტემპით ვითარდებოდა ადგილობრივი მრეწველობისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროები, საწარმოო გაერთიანება „პოლიმერკონტეინერი", „ელვისა" და „ანალიზელსაწყოს" სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებები, ზესტაფონის ფეროშენადნობთა, ბათუმის ელექტრომექანიკური, თბილისის რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების ქარხნები და ზოგიერთი სხვა საწარმო. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, განაპირობა ტექნიკური ღონისძიებების განხორციელებამ, მუშაობაში პროგრესული მეთოდების დანერგვამ, სოციალისტური შეჯიბრების სწორმა ორგანიზაციამ, მისი ახალი ფორმების ძიებამ.

ამა წარმოდგენეთ, რამდენად დამაჯერებელი იქნებოდა ნახევარი წლის გეგმის შესრულების შედეგები, უფრო მეტი თავდადებითა და მონდომებით რომ გვებრძოლა. ყველა მეურნემ იცის, რომ რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო თავის ყოველკვირეულ ოპერატიულ ალრიცხვაში ითვალისწინებს 47 უმნიშვნელოვანესი სახეობის სამრეწველო პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულების მიმდინარეობას. აქედან, სამწუხაროდ, არ შესრულდა 20 დასახელების პროდუქციის წარმოების დავალება. იანვარ-ივნისში, როგორც ეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზეც აღინიშნა, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირდა ქვანახშირის, ფოლადის, თუჯის, სამშენებლო აგურის, ლითონსაჭრელი ჩარხების, ბამბეულისა და აბრეშუმის ჭოვილის, ტყავის ფეხსაცმლის, ქაღალდისა და სხვა ნაწარმის გამოშვება. ეს სრულიად შეუწყნარებელი მოვლენაა და ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ სასწრაფოდ ჩავაყენოთ საქმე თავის კალაპოტში. იმ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები, რომელთა უშუალო და ორგანიზაციულ გამგებლობაშიც შედიან ჩამორჩენილი საწარმოები, ვალდებული არიან გადამწყვეტი ღონისძიებები განახორციელონ მდგომარეობის დაუყოვნებლივ გამოსასწორებლად.

არ არის ალბათ საჭირო იმის მტკიცება, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენ წინაშე მდგომი ამოცანების გადასაწყვეტად შრომის ნაყოფიერების შეუნელებელ ზრდას. ეს მაჩვენებელი რესპუბლიკის მრეწველობაში მთლიანად გადაჭარბებითაც კი შესრულდა, მაგრამ ძირითადად იმათ ხარჯზე, ვინც ამ მიმართულებით გარკვეული მუშაობა გასწია.

სრულიად შეუწყნარებელია ის ფაქტი, როცა შრომის ნაყოფიერების ზრდა მხოლოდ და მხოლოდ მუშათა პერსონალის რიცხვის გადიდებით ხდება. ასეთი მდგომარეობაა, მაგალითად, „ელმავალმშენებლის", „საქელეტრომანქანის" საწარმოო გაერთიანებებსა და რუსთავის ამწესაშენებელ ქარხანაში. კიდევ უფრო მიუტევებელია ისეთი საქმის ვითარება, როცა მუშახელის ზრდა არამცთუ ადიდებს შრომის ნაყოფიერებას, პირიქით, ამცირებს წარმოების მოცულობის დონეს. ამ მხრივ სახარბიელად ვერ გამოიყურება ბორჩალოს „ჩარხმშენებელის" საწარმოო გაერთიანება, ბორის ბამბეულის კომბინატი, ჰიათურის სამთამადნო კომბინატი და სხვები. ამ მაჩვენებლის ზრდას, როგორც ეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმზე ამბ. ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა, აფერხებს ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვა, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ნელი ტემპი, სამუშაო დროის დანაკარგები და კადრების დენადობა. შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალების შესრულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და ამ ამოცანის გადაწყვეტას ყველანი განსაკუთრებული პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა მივუდგეთ, ამ საკითხს მკაცრი პარტიული კონტროლი უნდა დავუწესოთ.

როგორც უკვე ცნობილია, მიმდინარე წლის დასაწყისიდან კვების მრეწველობის მიერ დამზადებულ მრავალი სახეობის პროდუქციას სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მოეხსნა. ამიტომაც ამ მხრივ ახლა მდგომარეობა მაინცდამაინც სახარბიელო ვერ არის და ოპერატიული ღონისძიებები უნდა განვახორციელოთ საქმის მოსაგვარებლად. საქმე ის გახლავთ, რომ განვლილ ნახევარ წელიწადში 890 სამრეწველო საწარმოდან პროდუქციას საპატიო ხუთკუთხედით მხოლოდ 185 უშვებდა. სოფლის მშენებლობის სამინისტროს, მაგალითად, განვლილ ექვს თვეში ამ მხრივ საერთოდ არაფერი გაუკეთებია, ბათუმის ნავთობგადასამუშავებელმა ქარხანამ კი შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 50-მა წარმოების მოცულობა, ხოლო 47-მა შრომის ნაყოფიერების ზრდის დონე შეამცირეს.

წლის მეორე ნახევარი ძალას იკრებს. წინ ბევრი რთული და საპატიო საქმე გველის. ძალების მთელი დაძაბვით უნდა შევუდგეთ იმ გადაუდებელი ამოცანების გადაწყვეტას, რომლებიც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებისა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე დაგვისახა. სწორედ ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელის მითითებებსა და დახკვნებს მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმი. პლენუმმა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და, კერძოდ, მრეწველობის მუშაკებს დაუსახა ყოვლისმომცველი, კონკრეტული სამოქმედო პროგრამა, რომლის განხორციელებისათვის შეუნელებელი ყოველდღიური ბრძოლა თითოეული ჩვენგანის ღირსების საქმეა. ამას ჩვენ გვავალებს ის მაღალი შეფასება, რომელიც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მისცა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მოღვაწეობას, მის მუშათა კლასს, სოფლის მეურნეობის მუშაკებსა და ინტელიგენციას. დღეს ერთხელ კიდევ მივიხედოთ უკან, ღრმად, კრიტიკულად გავაანალიზოთ განვლილი იქვსი თვის შრომითი მოღვაწეობის შედეგები, გავითვალისწინოთ არსებული ნაკლოვანებანი და დაუყოვნებლივ დავიწყოთ ზრუნვა მათს გამოსასწორებლად.

წლის მეორე ნახევრის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის უპირველესის ცენტრში უნდა მოვაქციოთ მასალების, ნედლეულის, ელექტროენერგიის რაციონალური, მომგირნე ხარჯვისა და საწარმოების საპროექტო სიმძლავრით ამოქმედების საკითხი. წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას კომპლექსურად უნდა მივუდგეთ, ვიზრუნოთ ახალი ტექნიკის დანერგვისათვის, დანადგართა მაქსიმალური გამოყენებისათვის, მექანიზაციისა და ავტომატიზაციისთვის, შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცებისათვის, ეკონომიკური კადრების დამკვიდრებისათვის, მათი სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობების მკვეთრი გაუმჯობესებისათვის.

საქმისადმი კეთილსინდისიერი, კომუნისტური დამოკიდებულებით კიდევ უფრო განვამტკიცოთ რესპუბლიკის ავტორიტეტი, ვიბრძოლოთ მისი სახელის სადიდებლად. ყოველდღიურად ვიხელმძღვანელოთ მუშაობაში სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით.

ვენახს მივხედოთ, ვენახს!

ბირველი ამინდია მაღალმთიან რაჭაში. ვენახებში შეიმჩნევა ჭრაქის დაავადების გავრცელების საშიშროება. ამიტომ არის, რომ საფანგებო ღონისძიებებს ახორციელებს პარტიის ონის რაიკომთან შექმნილი საგანგებო შტაბი. მისი წევრები იქ არიან, სადაც საფრთხე შეექმნება ვაზს.

13 ივლისს შტაბის წევრები უწერის საბჭოთა მეურნეობის ღარის აგროგანყოფილებას ესტუმრნენ. მათ გულდასმით დაათვალიერეს ვენახის ნაკვეთები, გაეცნენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობას. სპეციალისტებს თვალს არ გამოეპარა ვენახის იმ ნაკვეთში შექმნილი საგანგაშო მდგომარეობა, რომელიც მეურნეობის მუშას კომუნისტ ალექსანდრე ჩიხრაძეს აქვს მიჩენილი. მას წლეულს თავის ნაკვეთში არავითარი სამუშაო არ შეუსრულებია. არც ნიადაგი ვაუთხრია, არც შპალერზე აუკრავს ვაზი, არც შეუწამლავს და არც გაუფურჩხია. ვენახს ჭრაქმა დარია ხელი და სულ ერთიანად გაანადგურა.

საქმე ის არის, რომ იოლი გამდიდრების მანიამ შეიპყრო ალექსანდრე. ამ რამდენიმე თვის წინათ გუდანბადი იიკრა და სოფელს გაეცალა, რესპუბლიკის გარეთ წავიდა სამუშაოდ.

მას წაბაძა მეზობელმა ა. გავაშელიშვილმაც. ისიც რესპუბლიკის გარეთ გადაიკარგა და უპატრონოდ მიტოვებული მიჩენილი ვენახის ნაკვეთი ჭრაქმა გაანადგურა.

იმ საღამოს აგროგან ყოფილების მუშა-მოსამსახურეთა მთელი კოლექტივი შეიკრიბა კრებაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ პარტიის ონის რაიკომის პირველი მდივანი კ. ბაქრაძე და სხვა პასუხისმგებელი პირები. კრებაზე გამოსულებმა დაგმეს ა. ჩიხრაძისა და ა. გავაშელიშვილის საქციელი და დასახეს მდგომარეობის გამოსწორების გზები. კომუნისტ ა. ჩიხრაძის შესახებ საგანგებოდ იმსჯელებენ, მანამდე კი გასაჭირში ჩავარდნილ ვენახებშია (დირექტორი ი. ბერიშვილი, აგრონომი ი. ბუბიანიშვილი). აქ ბევრი ნაკვეთი დასარევლიანებულია, დაადგიანეს ვენახის მეორედ შეწამვლა ცინებითა და გოგირდის ხსნარით, დროულად არ გაიფურჩნა ვაზი. მოვლა-პატრონობის შესუსტებამ თავისი უარყოფითი კვალი დაჩნია საბჭოთა მეურნეობის ნიგეზიანის აგროგანყოფილების ვენახს, სადაც ჭრაქის ნიშნები ჩანს.

სორელებს ვაზის მოვლისა და ყურძნის უხვი მოსავლის მოყვანის კარგი ტრადიცია აქვთ. ეს ტრადიცია ახლაც გრძელდება. მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირზე გაშენებული ზვრები სანიმუშოდ არის მოვლილი და ყურძნის მოსავალს კარგი პირი უჩანს. გაფურჩნილი და შეწამლული ვაზი უნვ მოსავალს ჰპირდება მევენახეებს. მაგრამ ხსიც უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ვაზი ერთნაირი ვულისყურით არ .არის მოვლილი.

ერთ-ერთი ვენახი მეურნეობის მთავარ აგრონომ თ. ქოჩლაძესა და პარტიული კომიტეტის მდივანთან ზ. კერესელიძესთან ერთად დავათვალიერეთ. აქ ვენახი მეორე ბრიგადას (ბრიგადირი ე. უაველაშვილი) უპატრონოდ მიუტოვებია. ნაკვეთი არ არის გათხრილი. იგი მთლიანად სარეველებით, ეკალ-ბარდებით და ახლად ამოყრილი აკაციით არის დაფარული. ვაზის ერთი ნაწილი არც შპალერზეა აკრული და არც ჰიგო შეუდგამთ მისთვის. გაფურჩნაახვევაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ვენახის 30 პროცენტი მეხეარია. ამ ბრიგადის არც სხვა ნაკვეთების მდგომარეობაა სახარბიელო. ვაზის რიგთა შორის სიმინდი და ლობიოა დათესილი. ტანაყრილი სიმინდი, გარდა იმისა, რომ ჩრდილავს ვაზს, დიდად აფერხებს სხვადასხვა აგროღონისძიების განხორციელებას. ამ თავმინებებულ ვენახში ვერც დილით და ვერც გვიან საღამოს ვერ ვნახეთ მომუშავე მევენახე.

— რა ვქნათ, რა ვიღონოთ, მუშახელი არ გვყოფნის, — შემოგვჩივლეს პარტიული კომიტეტის მდივანმა და აგრონომმა.

მეურნეობის 500-კაციან კოლექტივს რა გაუჭირდა ასეთი, რომ ამ ორ ჰექტარ ვენახს ვერ უპატრონა. მოხდომება რომ ყოფილიყო, მარტო სოფლის ინტელიგენციას, დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებსა და მოსწავლე ახალგაზრდობას შეეძლოთ დახმარების ხელი გაეწვდინათ მევენახეებისათვის. სხვა რომ არა იყოს რა, სორელებმა ლოზუნგი „ქუდზე კაცი" ლიტონ სიტყვებად არ უნდა გადააქციონ.

პარტიის ონის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა უფრო მკაცრად უნდა მოჰკითხოს მათ, ვისაც ვაზი, ჩვენი ეროვნული სიმაყე ასე გაუწირავს.

ვ. ციბერკაძე,
„კომუნისტის" სპეც. კორ.

ეს არის ქუდზე კაცი?

დავამზადებთ 2.100 ტონა სენაჟს

ლენინგორის საბჭოთა მეურნეობის მშრომელები ერთსულოვნად დაირაზმენ პარტიის სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის.

ჩვენი ცხვარი ახლა იალაღებზეა. წელს ყიზლარიდან კმაყოფილი ჩამოვიდნენ მწყემსები. ყოველ ს ნერბზე ბევრმა 100 ბატკანი მიიღო. მატყლის პარსვის დავალებაც პირნათლად შესრულდა. 4 ათას მეწველ ცხვარს ჩინებულად პატრონობენ ვასილ ჩიტიშვილისა და რობიზონ ოდიშვილის ბრიგადის წევრები. წარმატებით მიმდინარეობს ცხვრის წველა ციხისოფლის, გდუს, ალევის, ნაგომვეის, ყანჩავეთისა და ქურთის მთებზე. დღემდე სახელმწიფოს მივყიდეთ 4 ტონა ყველი.

მეტი ხორცი და რძე კარგმა კვებამ, პირუტყვის გულითადმა მოვლამ იცის.

ორგანიზებულად შევუდექით საკვების დამზადებას. სენაჟის ჩაფება დავიწყეთ სოფელ წერქოლში, ბოლში და სხვა დაბლობ ზონაში. წელს 2.100 ტონა სენაჟი დამზადდება, საგეგმიზე საგრძნობლად მეტი. ამით დიდად შემცირდება საკვების შეძენის ხარჯები. კარგად გვახსოვს ლ. ი. ბრეჟნევის მითითება, რომ ახლანდელი ხუთწლედი საკვების ხუთწლედი უნდა გახდეს. მაქსიმალურად ვიყენებთ ყოველ ხელსაყრელ ამინდს. ხშირმა წვიმებმა ბალახი გაათამამა. ახლა მთავარია მაღალორგანიზებული შრომა. თიბვაში გვეხმარებიან რაიონის მუშა-მოსამსახურეები, მოსწავლე ახალგაზრდობა. ყველაფერს ეღონებთ საკვების დამზადების დავალების გადაჭარბებით შესრულებისათვის. ეს კი იმის გარანტიას იძლევა, რომ იქნება მეტი ხორცი და რძე.

გ. ლოთიშვილი,
ლენინგორის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

შრომითი პატაკები

ფოთელწყაროს რაიონის ქვემოქედელთა თაოსნობისამებრ მარნეულის რაიონის საკვებმომპოვებლებმა დაძლიეს უამინდობით გამოწვეული სიძნელეები და წარმატებით შეასრულეს მეცხოველეობისათვის უყათინი საკვების — სენაჟის ჩადების წლიური გეგმა. 10 ივლისისათვის ჩადებულია 25 ათასი ტონა სენაჟი.

მეცხოველეობისათვის სენაჟის დამზადების გეგმების გადაჭარბებით შესრულებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი ალგეთის საბჭოთა მეურნეობისა და მოღანლოს მეცხოველეობის კომპლექსის საკვებმომპოვებლებმა.

სენაჟის დამზადება რაიონში გრძელდება.

ეს რედაქციას აცნობა საქართველოს კომპარტიის მარნეულის რაიკომის პირველმა მდივანმა რ. მემარნიშვილმა.

მაიაკოვსკის რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა ჯერ კიდევ 10 ივლისისათვის გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის მიყიდვის წლიური გეგმა. დამზადებულია 181,7 ცენტნერი პარკი, გეგმის 100,9 პროცენტი. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი დაბა მაიაკოვსკის ლენინის, ფერსათის სტალინისა და მახარაძის, წითელ-ხევის ფრუნზესა და რუსთაველის, როზის ლენინის, დიმის სვერდლოვსკისა და კალინინის სახელობის კოლმეურნეობების, ვარკეხის საბჭოთა მეურნეობის მეაბრეშუმეებმა. ვალდებულების ანგარიშში პარკის ჩაბარება გრძელდება.

ეს რედაქციას აცნობა საქართველოს კომპარტიის მაიაკოვსკის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. ნოზაძემ.

ვანის რაიონის მშრომელები თავდადებით შრომობენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის სწრაფი განვითარებისათვის და მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს ძნიშვნელოვან შედეგებს აღწევენ.

ამჯერად თავი ისახელეს მეაბრეშუმეებმა, რომლებმაც ჭირეულ ამინდებისა და თუთის ფოთლის უკმარისობის მიუხედავად, წარმატებით შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა და სახელმწიფოს 260 ცენტნერი ხარისხოვანი აბრეშუმის პარკი ჩააბარეს. ვანელი მშრომელები იბრძვიან ნაკისრი ვალდებულების წარმატებით შესრულებისათვის.

პარკის დამზადება გრძელდება.

ეს რედაქციას აცნობეს საქართველოს კომპარტიის ვანის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. ანდრიაძემ და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. დვალიშვილმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ყურადღებას ნუ მოვაკლებთ მეცხოველეობის განვითარებას

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის XVIII პლენუმის მოწოდებას — გადავაქციოთ საქართველო მაღალგანვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკად — მხურვალედ გამოეხმაურნენ სოფლის მშრომელები. რესპუბლიკაში დიდი მუშაობა გაჩაღდა მეცხოველეობის აღმავლობისათვის, რაც მოიწონა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თავის სიტყვაში საზეიმო სხდომაზე, თბილისში რომ გაიმართა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად.

მაგრამ მეცხოველეობის აღმავლობა, აღინიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის III პლენუმზე, გრძელვადიანი პრობლემაა; იგი მოითხოვს პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ყოველდღიურ ყურადღებას და მზრუნველობას.

სწორედ ამ პოზიციებიდან განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საკითხი პარტიის ახალქალაქის, ბოგდანოვკისა და ხაშურის რაიკომების მიერ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის XVIII პლენუმისა და 1980 წლის XX პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაციისათვის გაწეული მუშაობის პრაქტიკის შესახებ.

განხილვისას აღინიშნა, რომ ამ რაიონების საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა პარტიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს. ყველა რაიონსა და მეურნეობაში შედგენილ მეცხოველეობის აღმავლობის კომპლექსური პროგრამები, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში რეგულარულად მსჯელობენ მეცხოველეობისა და საკვებწარმოების აქტუალურ საკითხებზე. მეურნეობებისა და რაიონების ხელმძღვანელები უფრო საფუძვლიანად მუშაობენ ამ პრობლემის მომწიფებული საკითხების გადასაწყვეტად.

განხორციელებულ ორგანიზატორულ-პოლიტიკურ და სამეურნეო ღონისძიებათა შედეგად ყველა რაიონშია მიღწეული მნიშვნელოვანი წარმატებანი მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების მხრივ. განსაკუთრებით შესამჩნევია ბოგდანოვკის რაიონის მეურნეობათა მაჩვენებლები. აქ შეასრულეს XVIII პლენუმის მითითებანი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, მათ შორის ძროხის სულადობის გადიდების შესახებ, წარმატებით არის რეალიზებული ხორცის, რძის, კვერცხისა და მატყლის დამზადების ხუთწლიანი გეგმები. ამჟამად მესაქონლეობის 27 ფერმიდან 19 ჯიშთსანაშენეა. რაიონის მეურნეობებში უკანასკნელი წლების მანძილზე საგრძნობლად გაუმჯობესდა სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი პროდუქციის ხარისხი.

ახალქალაქის რაიონმა შეასრულა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის მითითებანი საქონლის, ღორის, ცხვრისა და ფრინველის სულადობის გადიდების, ხორცისა და რძის დამზადების უზრუნველყოფის შესახებ. გარკვეული წარმატებებია მოპოვებული ძროხის სულადობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდის მხრივ ხაშურის რაიონში. განსაკუთრებით წარმატებით მუშაობენ რაიონის მეცხოველეები წელს, რის შედეგადაც აქ ხუთ თვეში თითქმის ყველა ძირითადი მაჩვენებელი გაუმჯობესდა.

ამასთანავე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII და XX პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაციისათვის პარტიის ახალქალაქის, ბოგდანოვკისა და ხაშურის რაიკომების მუშაობაში ჯერ კიდევ მრავლად არის ნაკლოვანებანი და ხარვეზები. უფრო მეტიც, ახალქალაქისა და ხაშურის რაიონებში არც პლენუმებზე და არც ბიუროს სხდომებზე ჯერაც არ განუხილავთ XX პლენუმის შედეგები, არ შეუდგენიათ პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის კომპლექსური პროგრამები, ხოლო პარტიის ბოგდანოვკის რაიკომმა ისინი სულ ცოტა ხნის წინ განიხილა.

სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს ბევრ გადაწყვეტილებას, რომლებსაც პარტიის რაიკომების პლენუმებსა და ბიუროს სხდომებზე იღებენ მეცხოველეობის საკითხებზე. ხშირად გადაწყვეტილებებში არ იგრძნობა ამ დარგის მდგომარეობის პრინციპული ანალიზი, კრიტიკა ძირითადად გაგიგებულია არადამაკმაყოფილებელი მაჩვენებლების ჩამოთვლასთან, არ ავლენენ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების, კონკრეტული მეურნეობების, მათი ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების მუშაობის ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს.

პარტიის ორგანოები ამ ნაკლოვანებებს ხედავენ. მაგრამ ხსიც უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ვაზი ერთნაირი ვულისყურით არ .არის მოვლილი.

ერთ-ერთი ვენახი მეურნეობის მთავარ აგრონომ თ. ქოჩლაძესა და პარტიული კომიტეტის მდივანთან ზ. კერესელიძესთან ერთად დავათვალიერეთ. აქ ვენახი მეორე ბრიგადას (ბრიგადირი ე. უაველაშვილი) უპატრონოდ მიუტოვებია. ნაკვეთი არ არის გათხრილი. იგი მთლიანად სარეველებით, ეკალ-ბარდებით და ახლად ამოყრილი აკაციით არის დაფარული. ვაზის ერთი ნაწილი არც შპალერზეა აკრული და არც ჰიგო შეუდგამთ მისთვის. გაფურჩნაახვევაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ვენახის 30 პროცენტი მეხეარია. ამ ბრიგადის არც სხვა ნაკვეთების მდგომარეობაა სახარბიელო. ვაზის რიგთა შორის სიმინდი და ლობიოა დათესილი. ტანაყრილი სიმინდი, გარდა იმისა, რომ ჩრდილავს ვაზს, დიდად აფერხებს სხვადასხვა აგროღონისძიების განხორციელებას. ამ თავმინებებულ ვენახში ვერც დილით და ვერც გვიან საღამოს ვერ ვნახეთ მომუშავე მევენახე.

— რა ვქნათ, რა ვიღონოთ, მუშახელი არ გვყოფნის, — შემოგვჩივლეს პარტიული კომიტეტის მდივანმა და აგრონომმა.

მეურნეობის 500-კაციან კოლექტივს რა გაუჭირდა ასეთი, რომ ამ ორ ჰექტარ ვენახს ვერ უპატრონა. მოხდომება რომ ყოფილიყო, მარტო სოფლის ინტელიგენციას, დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებსა და მოსწავლე ახალგაზრდობას შეეძლოთ დახმარების ხელი გაეწვდინათ მევენახეებისათვის. სხვა რომ არა იყოს რა, სორელებმა ლოზუნგი „ქუდზე კაცი" ლიტონ სიტყვებად არ უნდა გადააქციონ.

პარტიის ონის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა უფრო მკაცრად უნდა მოჰკითხოს მათ, ვისაც ვაზი, ჩვენი ეროვნული სიმაყე ასე გაუწირავს.

ვ. ციბერკაძე,
„კომუნისტის" სპეც. კორ.

კომბინატი მოსავლისათვის მუშაობს

ახმეტის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის კოლექტივს დიდი წვლილი შეაქვს რაიონის მევენახეობის განვითარებაში. აქ მოქმედებს რკინაბეტონის საკენაბე ბოძების წარმოების ორი სამრეო, მევენახეებს კი ეს პროდუქცია ძალზე სჭირდებათ.

— ჩვენ თითქმის 300 ათასი ცალი რკინაბეტონის ბოძი გამოვუშვიო, — თქვა კომბინატის დირექტორმა ა. შაშიაშვილმა, — წლის ბოლომდე კიდევ ამდენს დავამზადებთ.

საწარმოო კომბინატმა ვალდებულება იკისრა რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობები, აგრეთვე მოსახლეობა უზრუნველყოს შაბიამნისათვის საჭირო გამომწვარი კირით. დიდი მოთხოვნილებაა აგრეთვე საწარმოს სხვა პროდუქციაზე — საკედლე ბლოკებზე, მარმარილოს ნაფხვენზე, ხრეშზე, ქვიშასა და სხვა სამენ მასალებზე.

კომბინატის კოლექტივი ორჯერ დაჯილდოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით, მრავალგზის დაჯილდოდა რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშითაც.

ახმეტელებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, და ეძებენ რა დგილობრივი ნედლეულის წარმოების გადიდების ახალ რეზერვებსა და რესურსებს, გადაწყვიტეს მეთერთმეტე ხუთწლედში ერთთიორად გაზარდონ სოფლისათვის პროდუქციის წარმოება. (საქინფორმი).

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ავტორიტეტი ჩვენივე დადგენილებისა

პარტბიუროს მდივნის ტრიბუნა

დამეთანხმებით, ზოგჯერ ხდება ხოლმე მოვლენები, რომელთაგან მიღებული შთაბეჭდილებანი არათუ გაუფერმკრთალდება ადამიანს, არამედ დროთა მსვლელობაში ისინი მისთვის კიდევ უფრო ცხოველმყოფელი და დაუვიწყარი გახდება. ჩვენი რესპუბლიკის თითოეული მცხოვრებისათვის უთუოდ ასეთი იყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და ბოლო კომპარტიის შეკრების მე-60 წლისთავის გამო თბილისში გამართული ჰეშმარიტად კრანდიოზული, შთამბეჭდავი ზეიმი, აქ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმული ღრმაშინაარსიანი სიტყვა, რომლის მეცნიერულად დასაბუთებულმა დებულებებმა და დასკვნებმა დაადკვრეტა მეთერთმეტე ხუთწლედში რესპუბლიკის მშრომელთა საბრძოლო ამოცანები.

და სწორედ მათი შესრულების მიზნით საქართველოს პარტიული ორგანიზაციის გადაუდებელი ამოცანების შესახებ იყო საქმიანი, პრინციპული მსჯელობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმზე. ამ მართლაც საეტაპო პლენუმზე მრავალი მეტად საყურადღებო და ჩვენი რესპუბლიკისათვის ერთობ მნიშვნელოვანი საკითხი განიხილეს, რომელთა გადაჭრაში ყველამ უნდა შევიტანოთ საკუთარი წვლილი. რა კეთდება და რის გაკეთებას ვაპირებთ ამ მხრივ ჩვენს გაერთიანებაში?

პლენუმმა საქართველოს მშრომელების, პარტიული ორგანიზაციების წინაშე დიდი და პასუხსაგები ეკონომიკური, პოლიტიკური და ორგანიზატორული ამოცანები დასახა, ამასთან მთავარი ის არის, რომ ჩვენი რესპუბლიკა უნდა დაწინაურდეს ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი არსებითი მაჩვენებლის მიხედვით. აქ კი, როგორც პლენუმზე ითქვა, გადამწყვეტი მნიშვნელობა სამრეწველო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას ენიჭება.

გორის პურპროდუქტების საწარმოო კომბინატი რესპუბლიკაში ამ ტიპის საწარმოებს შორის ერთ-ერთი უდიდესია. და ამ ამოცანის გადაწყვეტის რეალიზაციის გზებსა და საშუალებებზე როცა ვლაპარაკობთ, არსებითად დამზადების სისტემის სამრეწველო საწარმოების რიტმული მუშაობის უზრუველყოფას ვგულისხმობთ.

უკანასკნელი წლების მანძილზე სწორედ რიტმული მუშაობის უზრუნველყოფა, სამეურნეო დავალებათა განუხრელი შესრულება, ამ მიზნით რეზერვების გამოვლენა-ამოქმედება იყო და არის კომბინატის პარტიული ბიუროს, კომუნისტების უმთავრესი საზრუნავი.

მეთერთმეტე ხუთწლედი კარგად დაიწყეთ. განვლილ ექვს თვეში წარმოებულია ასიათასობით მანეთის ზეგეგმითი მოლიანი პროდუქცია, რეალიზებულია 800 ათასი მანეთისაზე მეტი ზეგეგმითი ნაწარმი, რესპუბლიკის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა — მეცხოველეობის კომპლექსებმა და მეფრინველეობის ფაბრიკებმა 1500 ტონა ზეგეგმითი კომბინირებული საკვები მიიღეს.

ეს, ცხადია, ცუდი მაჩვენებელი არ არის. და თუმცა ახლახან ჩვენმა კოლეგატმა პირველი კვარტალის მაჩვენებლების მიხედვით საკვებშორო დამზადების სამინისტროს და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა დაიმსახურა, მაინც, თუ ჩვენს საქმიანობას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმის გადაწყვეტილებებს მიხედვით განვიხილავთ, დაგრწმუნდებით, თუ რაოდენ ბევრი ნაკლი გვაქვს მუშაობაში, სამეურნეო მართვისა და შინაგანი რეზერვების გამოყენების საქმეში.

ავიღოთ, თუნდაც, სამრეწველო წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საკითხი, რომლის შესახებაც პლენუმზე საქმიანი ხა-ბაასი გაიმართა. არცთუ ისე დიდი ხნის წინათ კომბინატი თავს ვერ ართმევდა ჩამორჩენას. კადრების დენადობასა და ცუდ შრომითს დისციპლინასთან ერთად ჩამორჩენის მიზეზი ისიც იყო, რომ ვერ იქნა და მთლიანად ვერ ავითვისეთ საპროექტო სმალავრენი. გვქონდა სხვა ხელშემშლელი მიზეზებიც.

ამიტომაც საკმაოდ რთული და თანამიმდევრული მუშაობა დასჭირდათ პარტიბიუროს, კომბინატის კომუნისტებს, ვიდრე ჩამორჩენას დავძლევდით და მოწინავე პოზიციებზე გავდიოდით. ამაში, რა თქმა უნდა, ძალიან დაგვეხმარა ის, რომ კომბინატის ზოგიერთ საამქროში რეკონსტრუქცია-გაფართოების სამუშაოები შესრულდა. მაგრამ წარმოების ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებას ბევრად შეუწყო ხელი ადგილებზე სამუშაო პირობების გაუმჯობესებამაც. კერძოდ, საამქროებში მოეწყო საშხაპეები, გარდერობი, სასადილო ოთახები, დამშვენდა და კალამაზდა ეზო... ყოველივე ამის შედეგად საგრძნობლად გაუმჯობესდა დისციპლინა, შემცირდა კადრების დენადობა...

მაგრამ, როგორც ეს სამართლიანად ითქვა პლენუმზე, შრომითს კოლექტივებს შინაგანი რეზერვების ამოქმედების დიდი შესაძლებლობები აქვთ. ასეა ჩვენთანაც. ვცდილობთ კიდეც მათ გამოვლენა-ამოქმედებას, მაგრამ ამ მხრივ ჩვენი მეცადინეობა ყოველთვის არ "არის ეფექტიანი და გამიზნული.

ფუნქციონალობა რომ არ გამომიკიდეს, თუნდაც მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვან: წლების მანძილზე პარტბიუროო დადგენილებაა დადგენილებაზე იღებს ელექტორატში ასპირაციის — საკენტილაციო სისტემის გაუმჯობესების თაობაზე. საქმე ის არის, რომ იქ დაშვებულ ნორმაზე მეტია დამტვერიანება, დიდია საწარმოო დანაკარგებიც.

პირდაპირ უნდა ვთქვა, საქმეს თავი ვერ მოვაბით. ეს სწორედ ის ტიპური შემთხვევაა, პლენუმზე რომ ხაზგასმით აღინიშნა — გადაწყვეტილებათა ავტორიტეტს უნდა ვუფრთხილდებოდეთ, დადგენილება უნდა სრულდებოდეს!

დიახ, ნაკლოვანებები საკმაოდ გვაქვს მუშაობაში. ამიტომ იმასაც კარგად ვგრძნობთ, რომ გარდამავალი დროშა და ქების სიტყვები ჯერ კიდევ არ ნიშნავს, თითქოს ყველაფერი წესრიგში იყოს, რომ შეიძლება მიღწეულით თვითდამშვიდებას მივეცეთ.

პირიქით, წინ დიდი, დაძაბული მუშაობა მოგველის ჩამორჩენის სრული დაძლევის, მუშაობაში ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ძნელ გზაზე.

ამაში კი ძალიან დაგვეხმარება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმის მოთხოვნები, მისი დადგენილება, რომლებიც თითოეული ჩვენგანისათვის, მართლაც რომ, სახელმძღვანელოა.

ა. ოქროფშაშვილი,
გორის პურპროდუქტების საწარმოო გაერთიანების პარტიული ბიუროს მდივანი.

მეტი კარგი და საჭირო საქმეები

თბილისის საწარმოებმა ექვს მილიარდ- ნახევარ მანეთისაზე მეტი სახალხო მოხმარების საქონელი გამოუშვეს მეათე ხუთწლედში. პროდუქციის წარმოების გადიდებას მიაღწიეს როგორც ახალი სიმძლავრეების ათვისების, ისე მოქმედი საწარმოების გაფართოებისა და რეკონსტრუქციის, შრომის ნაყოფიერების გაზრდის გზით. შესამჩნევად გაიზარდა ხარისხის საჩელმწიფო ნიშნიანი ნაწარმის ხვედრითი წილი.

მიუხედავად ამისა, ქალაქის მრეწველობა ჯერ კიდევ მთლიანად ვერ იყენებს კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონლის წარმოების გადიდების რეზერვებსა და შესაძლებლობებს. გასულ ხუთწლედში შესამჩნევი ჩამორჩენა იყო შალის ქსოვილების, ტრიკოტაჟის, შეკერილი, ბავშვთა საფეიქრო და საგალანტერეო ნაწარმის, სათამაშოებისა და გადიდებული მოთხოვნის სხვა საგნების წარმოების საგეგმო დავალებათა შესრულებაში. სახალხო მოხმარების საქონლის საუკეთესო ნიმუშების სრულიად საკავშირო პავილიონის საქართველოს ფილიალის მიერ ასათვისებლად რეკომენდებული 352 ნიმუშიდან ათვისებულია მხოლოდ 169.

ეს ითქვა თბილისის სახალხო დეპუტატთა მეჩვიდმეტე მოწვევის საქალაქო საბჭოს მე-7 სესიაზე, რომელმაც განიხილა ქალაქ თბილისში სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოების, ხარისხის ამაღლებისა და ასორტიმენტის გაფართოების ამოცანები სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით.

მოხსენება გააკეთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ, საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა თ. პაიჭაძემ.

მომხსენებელმა და ორატორებმა აღნიშნეს, თუ რა პოზიტიური ძვრები მოხდა ხალხისათვის განკუთვნილი საქონლის გამოშვების გაფართოებაში და ყურადღება მიაპყრეს გადაუწყვეტელ პრობლემებს. კერძოდ თბილისის საქალაქო საბჭოს მუდმივმა კომისიებმა, მისმა დეპუტატთა აქტივმა უნდა სრულყონ მუშაობა მოსახლეობის მოთხოვნის შესასწავლად, მიაღწიონ მუშაობის სტილისა და მეთოდების შემდგომ გაუმჯობესებას, გააძლიერონ საბჭოთა და სამეურნეო მუშაკების პასუხისმგებლობა „ბ" ჯგუფის საქონლის გამოშვებისათვის. მარტო მსუბუქ მრეწველობაში 30 პროკურატორი უნდა გაანალიზონ ასორტიმენტი, სწრაფი ტემპით აითვისონ ავეჯის კომპლექტების, საყოფაცხოვრებო შუქტექნიკის, პლასტმასის ნაწარმის, სამავშვო სათამაშოების, სხვადასხვა სუვენირის გამოშვება.

სესიაზე ითქვა, რომ საჭიროა ღონისძიებანი გატარდეს, ადგილობრივ ინიციატივა, ადგილობრივ მოსახლეობის ბოლოამდე გამოყენებულ იქნეს ადგილობრივ ნედლეულზე, ადგილობრივ ნარჩენებზე, ადგილობრივ ადგილობრივ ადგილობრივ

ნაქალაქარი დმანისი

დმანისის რაიონს დიდი ისტორიული, შრომითი, საბრძოლო და ინტერნაციონალური მეგობრობის ტრადიციები აქვს. დღეს რაიონის ტერიტორიაზე ერთი საერთო მიზნით შეკავშირებული 15 ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობს. მის ისტორიასა და დღევანდე-

-ობას ეძღვნება ხალხთა ინტერნაციონალური მეგობრობის ახალი -ლესასნაული „დმანისობა“, რომელიც პირველად ხვალ, კვირას გა-

-ართება და ამიერიდან ტრადიციად იქცევა. ქვემოთ დაბეჭდილ -რკვევში მკითხველი გაეცნობა დმანისის წარსულს და მისი მეცნი-

-ული შესწავლის მოკლე ისტორიას.

ნაქალაქარი დმანისი წარსულში წარმოადგენდა ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთ ვრცელ და მდიდარ ქალაქს, რომელიც ისტორიული ქვემო ქართლის -ტერიტორიაზე მდებარეობდა. იგი -ლისიდან დაშორებულია 85 -ომეტრით და მდებარეობს სა-ეთ-დასავლეთით, დღევანდელი -ნისის რაიონში. ვახუშტის -ბანის ზევი“ ცალკე გეოგრა-ულ ერთეულად აქვს გამოყო-ილი. ეს ტერიტორია მდინარე -ავერის სისტემას შეადგენს და -ევანდელი დმანისის რაიონის -და მოიცავდა ბოლნისის რაი-ნს უდიდეს ნაწილსაც. მისი -ოსავლეთი ნაწილი შედარებით -ალია (600-800 მეტრი ზღვის -ნიდან) და „ფრიად ნაყოფიერ-ა ყოველთამდე, ვეხან-ხილითა, -ულ-მარცვალთა... ზამთარს თბილ-ა მშუენი ზაფხულს შეზავ-ული“. დასავლეთის ნაწილი -ოგრესად მესაქონლეობის რა-ნს წარმოადგენს (საგრძნობ-ად მაღალია — 1000-1300 მ.). „ჰავეთ არს მშუენი არამედ -თარს ცივი, ზაფხულს ცხელი, -ენ-ენახო, უხილო“. ნაქალაქარი -ნისნი სწორედ ამ მაღალ მთის -ნაში მდებარეობს, თითქმის 400 მეტრ სიმაღლეზე.

-წარსულში დმანისი შედიოდა -ტორიული გაჩაინის, შემდეგ -ამშვილდის საერისთავოში, ხო-ო უფრო გვიან საბარათიანო-ში. დმანისი მოხსენიებულია როგორც ქართულ, ისე სომხურ, არაბულ, სპარსულ და თურქულ წერილობითს წყაროებში. ქართულ საისტორიო წყაროებში დმანისი IX საუკუნეზე ადრე არ იხსენიება, „მატიანე ქართლისა“ ცნობით, არაბთა სარდალმა ბუღა თურქმა, რომელმაც დალაშქრა საქართველო 853 წელს, „დარიალანით გამოიყვანნა ოვსნი ვითარ სახლი ასი და დასხნა იგი დმანისს“.

XI საუკუნეში დმანისი, რომელიც პოლიტიკურად დიდ როლს ასრულებს საქართველოს ცხოვრებაში, ხშირად იხსენიება ქართულ წყაროებში.

1073-1074 წლებში დმანისის ერთ-ერთი ამირა, განძისა და დვინის ამირებთან ერთად, ეხმარება არაბთა სარანგს საქართველოს მეფის გიორგი II-ის წინააღმდეგ ბრძოლაში. XI საუკუნის 80-იანი წლებისათვის მთელი ქვემო ქართლი და, მაშასადამე, დმანისიც თურქ-სელჯუკების ხელშია. დავით აღმაშენებლის აქტიური პოლიტიკისა და წარმატებული ლაშქრობათაგან შეჭირვებული „თურქმანნი. და კვალად ვაჭარნი გახდელ-ტფილელ და დმანელნი წარვიდეს სულტანსა წინაშე და ყოველსა სპარსეთსა... და ესრეთ მოუთხრნეს ყოველნი ჭირნი, _ მოწევნულნი მათზედა...“ და შესთხოვეს დახმარება. ამ თხოვნას მოჰყვა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მპყრობელთა კოალიციური ლაშქრობა საქართველოს წინააღმდეგ და საქართველოსა და დავით აღმაშენებლისათვის სახელოვანი დიდგორის ომი 1121 წელს. ამ ომში საქართველოს წინააღმდეგ მონაწილეობა მიუღიათ სომხითის ამირებსაც და მათ შორის, ალბათ, დმანისის ამირასაც. 1123 წელს დავით აღმაშენებელმა „აღიღო ქალაქი დმანისი“. შემდეგ, მცირე ხნით, დმანისი ისევ მუსლიმანთა ხელში გადადის, მაგრამ 1125 წელს დემეტრე მეფე კვლავ იბრუნებს დმანისს, რომელიც ამიერიდან დიდი ხნით რჩება ქართველთა ხელში და იგი უშუალოდ ქართველთა მეფეებს უპირავთ.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ხვარაზმელთა, ხოლო შემდეგ მონღოლთა გამანადგურებელი შემოსევების შედეგად XIII საუკუნის საქართველო სუსტდება როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურადაც, დმანისი მაინც მდიდარ და მნიშვნელოვან ქალაქად რჩება. ამით უნდა იხსნებოდეს ის გარემოება, რომ ათაბაგი სადუნ მანკაბერდელი, თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავლენიანი და მდიდარი პირი, 1271-72 წლებში კისრულობს გადაუხადოს მონღოლებს ქვეყნისათვის შეწირული დიდი ხარკი, თუკი სამაგიეროდ მეფემას დმანისსა და მის მიმდებარე ტერიტორიას დაუთმობდა. მეფე დემეტრე II იძულებული იყო მიეცა დმანისი სადუნისათვის. 1293 წელს დმანისი ისევ ქართველი მეფეების ხელშია. საინტერესოა ყამთაოღმწერლის ცნობა იმის შესახებ, რომ 1265 წელს დავითულუს დმანისში დაუსახლებია ბერძა ყაენისაგან ლტოლვილი თავადნი, და ამგვარად დმანისის ისედაც ჭრელ მოსახლეობას ახლა მონღოლებიც შემატებიან. XIII საუკუნის დამლევს და XVI-ის დამდეგს დმანისში დამკვიდრებულა ლაშა გიორგის ჩამომავალი. დმანისში დაუკრძალავთ ვახტანგ III — დემეტრე მეორის (თავდადებულის) ძე.

XIV-XV საუკუნეებში დმანისი არაერთხელ აუოხრებიათ როგორც თემურ ლენგის (1386-87 წლები), ისე თურქების შემოსევების დროს 1486 წელს იაყუბ ყაენის მეთაურობით. 1536 წელს ბარათაანთ გაყრის წიგნის თანახმად, დმანისს იყოფენ იოთამ ბარათაშვილი და მისი ძმა ორბელი. ამ დროს დმანისი მცირე დასახლებულ პუნქტს წარმოადგენს. მისი მეურნეობა მნიშვნელოვნად არის დაქვეითებული. 1578 წელს ოსმალები იპყრობენ დმანისს, ხოლო ქართლის მეფე სიმონ I კვლავ იბრუნებს მას.

ოსმალების, სპარსელებისა და ლეკების განუწყვეტელმა თავდასხმებმა და თარეშმა საქართველოს ეს კუთხე სრულიად გაავერანა, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ამოწყდა, ხოლო ნაწილი აიყარა და ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონებში გადასახლდა.

XVIII საუკუნის მიწურულისათვის დმანისი და მისი სანახები უკვე სრულიად გაპარტახებული და გაუკაცრიელებულია.

ქალაქი დმანისი გაშენებული ყოფილა მაღალ ქარაფოვან კონცხზე მდინარეების მაშავერასა და ფინეზაურს შორის და თავისი მდებარეობით ბუნებრივ, ძოუდგომელ სიმაგრეს წარმოადგენდა. კონცხი დაახლოებით 100 მეტრ სიმაღლეზეა აზიდული და მისი ნაპირები სამი მხრიდან ვერტიკალურად ეშვება მდინარეებისაკენ. ერთადერთი მისადგომი ქალაქს სამხრეთიდან ჰქონია, და ამიტომ ამ მხრიდან იგი გამაგრებული ყოფილა მტკიცე გალავნითა და ბურჯებით.

კონცხზე გაშენებული ქალაქის ტერიტორია 13 ჰექტარს შეადგენდა, ხოლო მისი მარტო ის გარეუბნები, რომლებიც სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ეკვროდა ქალაქს მდინარე ფინეზაურის ხეობაში, 12 ჰექტარს აღემატებოდა. ნაქალაქარი და მისი გარეუბნები მოფენილია ისტორიული ძეგლებითა და მათი ნანგრევებით. სამხრეთიდან შემორჩენილია ციხის გალავნისა და ბურჯების ნანგრევები. კონცხის სამხრეთი ნაწილი უჭირავს შიდაციხის ნანგრევებს.

დმანისის მთავარი საკულტო ნაგებობანი თავმოყრილია ნაქალაქარის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, შიდაციხის გალავანთან. ამ ნაგებობიდან აღსანიშნავია: VII საუკუნის სამეკლესიანი ბაზილიკა დმანისის სიონი, რომელსაც დასავლეთის მხრიდან მიშენებული აქვს XIII საუკუნის კარიბჭე მდიდრულად შემკული ქართული ჩუქურთმებით. კარიბჭის ფასადის ცენტრალური ნაწილი და დასავლეთი ფრთა უქირავს ვრცელ ასომთავრულ წარწერებს, რომლებიც გვაუწყებენ, რომ კარიბჭე აშენებულია ლაშა გიორგის დროს (1214-1222 წლებში) ეპისკოპოს თევდოსი კალნაპეტის ძის მიერ. სიონის აღმოსავლეთით შემორჩენილია მაღალი სამრეკლო, რომლის ზედა ნაწილი მნიშვნელოვნად არის გადაკეთებული. სამრეკლოს სიახლოვეს, მისგან ჩრდილოეთით დგას პატარა ეკლესია. მისი ბალავრის ქვაზე ამოტვრილი მხედრული წარწერა გვაუწყებს, რომ იგი განუახლებია ბატონიშვილს მარიამის გამდელს ისახახს 1702 წელს.

დმანისით და მისი ისტორიული ძეგლებით ადრევე დაინტერესდნენ მეცნიერები. პირველად დმანისი 1853 წელს მოინახულეს მ. ბართლომემ და დ. ორბელიანმა, რომელთაც მოკლედ აღწერეს ნაქალაქარი და ზოგიერთი წარწერა გადმოიღეს. წარწერების ნაწილი შემდეგ გამოსცა მ. ბროსემ. 1894 წელს დმანისში მცირე მასშტაბის გათხრები მოაწყო ე. თაყაიშვილმა, რომელმაც რამდენიმე საფლავი გათხარა, დმანისის წარწერები შეაესო და მეორედ გამოსცა. დმანისის მეცნიერული არქეოლოგიური შესწავლა იწყება 1936 წელს აკად. ი. ჯავახიშვილის ინიციატივითა და საერთო ხელმძღვანელობით. გათხრები გაგრძელდა 1937 წლამდე. და იმავე წელს შეწყდა დიდი ხნით (ექსპედიციის ხელმძღვანელი ლ. მუსხელიშვილი). დმანისის გათხრები განახლდა 1960 წელს და დღემდე გრძელდება. 1970 წლამდე გათხრებს დმანისში აწარმოებდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ხოლო 1971 წლიდან ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი.

დმანისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ საფუძველი ჩაუყარა ფეოდალური საქართველოს ძეგლების, კერძოდ, ნაქალაქრების მეცნიერულ შესწავლას. ექსპედიციამ ლ. მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი შედეგები მოიპოვა: გაშიფრა და დააზუსტა დმანისის ქართული წარწერები, გათხარა და შეისწავლა საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, სასახლის ნანგრევები ციხის ამანოთი, გარეუბნის აბანოები, ქალაქის ჭიშკარი, ქუჩა და სხვა. მოაწესრიგა, შეისწავლა და განსაზღვრა დიდძალი განათხარი მასალა (მოუჭიქავი და მოჭიქული კერამიკა, ქაშანური, მინის ნივთები, მონეტები, სამკაულები და სხვ.).

დმანისში გათხრების განახლებამ დაადასტურა, რომ ნაქალაქარის ტერიტორია დასახლებული ყოფილა ჯერ კიდევ ადრებრინჯაოს ხანიდან (კერამიკა, ლითონის ჩამოსასხმელი ყალიბი და სხვ.), მრავლად გვხვდება გვიანი რკინის ხანის ისეთი ბრწყინვალე წარმომადგენლები, როგორიც არიან სულხან-საბა ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და ბევრი სხვა.

ვ. ჯაფარიძე,
დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი,
ჯ. კობალიანი,
ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილე.

რუსთაველელები კვლავ გზას ადგანან

საფრანგეთის ქალაქ ავინიონში, სადაც მიმდინარეობს საერთაშორისო ფესტივალი, პაპის სასახლის ცენტრალურ არენაზე ქართველი მსახიობები წარმოადგენენ შექსპირის „რიჩარდ III“.

ოკდამეთოთხმეტჯერ იღებს საზრანგეთის ეს ქალაქი ცნობილი ფრანგი რეჟისორისა და მსახიობის ჟან ვილარის მიერ დაარსებული ტრადიციული საერთაშორისო დათვალიერების მონაწილეებსა და სტუმრებს. მაგრამ წინა დათვალიერებებისაგან განსხვავებით ახლანდელი უპრეცედენტოა, რადგან ირღვევა მკაცრი წესი: პაპის სასახლის ცენტრალურ არენაზე გამოსვლა შეუძლიათ მხოლოდ ფრანგულენოვან დასებს. ეს დარღვევა გამოიწვია რუსთაველის სახელობის თეატრის ტრიუმფალმა წარმატებამ, რომელმაც „დაადასტურა საბჭოთა სასცენო ხელოვნების ავტორიტეტი საზღვარგარეთ.

ავინიონის ფესტივალის პროგრამაშია აგრეთვე ბრეჰტის „კავკასიური ცარცის წრე“.

რუსთაველის სახელობის თეატრის 65 მსახიობი, დირექტორი და მთავარი რეჟისორი რ. სტურუა, მხატვრები გ. მესხიშვილი და მ. შველიძე, კომპოზიტორი გ. ყანჩელი, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ი. გამრეკელი 19 ივლისს მიფრინავენ საფრანგეთში.

საფრანგეთიდან დაბრუნებისთანავე კი რუსთაველელებს მოელით შეხვედრა კიეველ მაყურებლებთან. ლესია უკრაინკას სახელობის თეატრის სცენაზე 6 აგვისტოდან ნაჩვენები იქნება თეატრის საუკეთესო დადგმები: „რიჩარდ III“, „კავკასიური ცარცის წრე“, მოლიერის „ტარტიუფი“, თ. ჭილაძის „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“, გოლდონის „მშვენიერი ქართველი ქალი“, „რ. სტურუას, ლ. ფოფხაძისა და ა. ვარსიმაშვილის „ვარიაციები თანამედროვე თემაზე“. (საქინფორმი).

მთავარია ეფექტიანობა

საქართველოს საზოგადოება „ცოდნის“ რესპუბლიკური და თბილისის საქალაქო ორგანიზაციების გამგეობათა გაერთიანებული პლენუმი. პლენუმში შესავალი სიტყვით გამოსვლა რესპუბლიკური საზოგადოების „ცოდნის“ საპატიო თავმჯდომარემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ი. კ. ხარაძემ.

მომხსენებელმა — საქართველოს სსრ რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნის“ თავმჯდომარემ ნ. გ. კომახიძემ და ორატორებმა საქმიანად, პრინციპულად გაანალიზეს განვლილ პერიოდში საზოგადოების ორგანიზაციებისა და სახალხო უნივერსიტეტების მუშაობა. აღინიშნა, რომ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებს, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ VIII პლენუმის მოთხოვნებს შესაბამისად შემუშავდა და ბოლოს ელდება საზოგადოების მთელი საქმიანობის ძირეული გარდაქმნის პერსპექტიული გეგმა. ხოლოდ ლენინური ანდერძი, რომელთა მიზანია ლექციური პროპაგანდის ხარისხის გაუმჯობესება და კონკურენტუნარიანობის გაძლიერება, ცხოვრებასთან, მეთერთმეტე ხუთწლედში რესპუბლიკის წინაშე მდგომ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ამოცანათა გადაწყვეტასთან მისი კავშირის განტკიცება.

ამასთან ერთად პლენუმის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებზე. პარტიული, კრიტიკისა და თვითკრიტიკის პოზიციებიდან ითქვა, რომ ყველგან არ ექცევა სათანადო ყურადღება ლექციათ-პროპაგანდისტული მუშაობის გაუმჯობესებას, კომუნისტური აღზრდის პრაქტიკასთან მისი კავშირის განმტკიცებას. რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის VIII პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის სიტყვაში წამოყენებულ ამოცანათა განხორციელებასთან.

კერძოდ; აღინიშნა, რომ საკმარისი არ არის ლექციური პროპაგანდის იდეური ზემოქმედების ძალა, როლი და წვლილი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, რესპუბლიკის მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში. საზოგადოების ბევრი პირველადი ორგანიზაციის საქმიანობაში დაძლეული არ არის ცხოვრებისაგან ლექციური მუშაობის მოწყვეტის ტენდენცია.

ამასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ საჭიროა შეიქმნას ლექტორთა კადრების მომზადების ზუსტი, მეცნიერულად დასაბუთებული სისტემა, განუხრელად იხვეწებოდეს მთელი ლექციური პროპაგანდა, მაღლდებოდეს მისი იდეურ-პოლიტიკური დონე და, რაც მთავარია, ეფექტიანობა.

„იდეოლოგიური, პოლიტიკურ-ამზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა და იდეოლოგიურ მუშაკთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარის მოთხოვნების შესაბამისად ხაზი გაესვა, რომ უკომპრომისო, გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ ფორმალიზმსა და თვალის ახვევას ლექციურ პროპაგანდაში. ძალზე დასახი მნიშვნელობა აქვს განვუმარტოთ და გავაცნოთ თითოეულ ადამიანს, თითოეულ მშრომელს პარტიის პოლიტიკა, მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე ძალა. ამ მიზნით ლექციურ მუშაობაში უნდა ჩავაბათ ყველაზე მომზადებული, პოლიტიკურად, იდეურად ყველაზე უფრო მტკიცე ამხანაგები, რომლებსაც უნარი შესწევთ გაავრცელონ მასებში პარტიის ცოცხალი სიტყვა.

საზოგადოების ყოველი ორგანიზაცია, ყოველი სახალხო უნივერსიტეტი, აღინიშნა პლენუმზე, მოწოდებული არიან გააძლიერონ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მასალების პროპაგანდა და განმარტება. ისინი უფრო აქტიურად უნდა დაეხმარონ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს მშრომელთა დარაზმაში თბილისში და გამართულ ზეიმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გამოთქმული რჩევა-დარიგებებისა და მითითებების უთუო შესრულებისათვის.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო დადგენილება.

პლენუმის მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ნ. ენუქიძემ.

(საქინფორმი).

ფაქტები • მოვლენები • კომენტარი

ლიბანი

აგრესიის ესკალაცია

ბეირუთი. **ისრაელისა და ლიბანელი სეპარატისტების არტილერიამ კვლავ დაუშინა ცივილი სამხრეთ ლიბანის ქალაქებსა და სოფლებს.** დაბომბეს ქალაქები საიდა და ნაბათა, არიან სილიმის, კფარ-რუმანის, კფარ-ტიბნინიტის, ვადი — ალ-ჰაჯარის, ჰასბაიას, ჰაბუშის დასახლებული პუნქტები, აგრეთვე რაშიდიისა და რასალაინის პალესტინელ ლტოლვილთა ბანაკები, რომლებიც ქალაქ ტორის მიდამოებში მდებარეობს.

15 ივლისს ღამის განმავლობაში ისრაელი სამხედრო კატარღებმა სცადეს მიაბლოვებოდნენ ლიბანის ზაპრანის რაიონში, მაგრამ პალესტინის წინააღმდეგობის მძიმარის მოადგილე ა. ყღენტი, „სსრ კავშირ-გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის“ საზოგადოების თბილისის განყოფილების თავმჯდომარე ა. დვალიშვილი, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ნეფედოვი.

შეხვედრის მონაწილეებმა ერთსულოვნად გამოთქვეს რწმენა, რომ მუშათა ახლანდელი უშუალო კონტაქტები ხელს შეუწყობს ჩვენი ხალხების ურთიერთგაგებისა და მეგობრობის განმტკიცებას.

17 ივლისს დელეგაცია მოსკოვს გაემგზავრა.

საკავშირო ასოციაციის „დელეგაციის ზურგზე“ ცხოვრება

საკლესისა და ახალი ამბების საგენტოს კორესპონდენტები გვაცნობებენ

17 ივლისი

● ლიბანი

საგენტო უარყოფს

ჰანოი. **ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტომ უარყო ბანგკოკის რადიოს მონაჩმახი, თითქოს 11 ივლისს ვიეტნამის ჯარები შეჭრილიყვნენ ტაილანდის ტერიტორიაზე და ცეცხლი დაეშინოთ ქვეყნის მთელი რიგი რაიონებისათვის.**

ტაილანდის ხელისუფალთა წინასწარგანზრახული ცილისმწამებლური განცხადება, აღნიშნავს ვია, ამერიკის იმპერიალიზმის, პეკინისა და სხვა რეაქციული ძალების ჰეგემონიზმის ხრიკების ნაწილია, რომლებიც მიმართულია ინდოჩინეთის ქვეყნების წინააღმდეგ და მიზნად ისახავს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში დაძაბულობის გამწვავება.

● ისრაელი

დაავალეს მთავრობის შედგენა

კაირო. **ისრაელის პრეზიდენტმა ნავონმა ქვეყნის ახლანდელ პრემიერ-მინისტრს, მემარჯვენე პარტიების ბლოკის „ლიკუდის“ ლიდერს ბეგინს დაავალა ახალი მთავრობის შედგენა, იუწყება ისრაელის რადიო.**

როგორც ცნობილია, 30 ივნისს გამართულ პარლამენტის ვადამდელ არჩევნებში „ლიკუდის“ ბლოკმა 48 ადგილი მიიღო ისრაელის კნესეტში, რომელშიც 120 დეპუტატი შედის. ერთი ადგილით ნაკლები მიიღო მისმა მთავარმა მეტოქემ — სოციალ-რეფორმისტული პარტიის „მაარახის“ კოალიციამ, რომელსაც შრომის პარტია მეთაურობს.

ტელ-ავივიდან მიღებული ცნობით, ბეგინი ცდილობს მიიმხროს სამი რელიგიური პარტია, რაც უზრუნველყოფს მისთვის საკმაოდ მერყევ უმრავლესობას (61 ხმას).

მიმომხილველთა აზრით, ბეგინის მთავრობას, ხელისუფლების საფრთხე რომ დარჩეს, მოუხდება მემარჯვენე ულტრარეაქციული ძალების წარმომადგენლებთან „ლიკუდი“, რაც კიდევ უფრო გამწვავებს ისრაელის პრემიერის ისედაც საკმაოდ ექსტრემისტულ საგარეო-პოლიტიკურ კურსს.

ᲓᲐᲐᲪᲐᲢᲘᲜᲘᲡᲗᲐᲡ ᲢᲔᲠᲠᲝᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘ

ანკარა. **თურქეთის უშიშროების ძალებმა ადანის პროვინციაში დააპატიმრეს 40 მემარჯვენე ტერროისტი.** როგორც ცნობილი გახდა, დამნაშავეებს ბრალად ედებათ მკვლელობა და შეიარაღებული ძარცვა. დაპატიმრებისას მათ ჩამოართვეს დიდძალი ცეცხლსასროლი იარაღი და ტყვია-წამალი.

პოლონელ კომუნისტთა ყრილობა

ვარშავა. **პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის IX საგანგებო ყრილობაზე გაიმართა კამათი პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო. პოლონელ კომუნისტებს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს მოძმე პარტიების დელეგაციათა მეთაურებმა.**

გამოქვეყნდა ყრილობის სამანდატო კომისიის მოხსენება. მოყვანილი მონაცემების თანახმად, 1.962 დელეგატიდან 438 მუშა, 195 სოფლის მეურნეობის მუშაკია, ყველაზე მრავალრიცხოვნად — 66,7 პროცენტი — წარმოდგენილი არიან პარტიული მუშაკები, საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები, ინჟინრები, ტექნიკოსები, ექიმები, მასწავლებლები, ჟურნალისტები და სხვ. ყრილობის მონაწილეთა ძირითადი ნაწილის პარტიული სტაჟი 10 წელს აღემატება.

მუშაობას შეუდგა 16 საპრომლემო კომისია. დაბურული სხდომაზე ყრილობამ დაიწყო პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების ჩამოყალიბება, გადაწყდა, პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში აირჩიონ 200 წევრი და 70 კანდიდატი.

ყრილობის საზღვარგარეთელი სტუმრები 16 ივლისს ეცნობოდნენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ცხოვრებას, ხვდებოდნენ რესპუბლიკის მშრომელებს, „ალვალიერებდნენ საწარმოებს.

* * *

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლტბიუროს წევრის, მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ვ. ვ. გრიშინის მეთაურობით, რომელიც პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის IX ყრილობის მუშაობაში მონაწილეობს, ეწვნა საბჭოთა კავშირის, სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების ტექნიკური ხელშეწყობით აშენებულ ვარშავის რადიოქარხანა „რადვარს“. გაიმართა დელეგაციის შეხვედრა ქარხნის მუშებთან და პარტიული ორგანიზაციის აქტივისტებთან, რომელზეც გამოვიდა ვ. ვ. გრიშინი. იგი საბჭოთა მუშების, ინჟინრებისა და ტექნიკოსების სახელით მხურვალედ მიესალმა ქარხნის კოლექტივს და ესაუბრა სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელების შესახებ.

სოციალიზმის დროს აღზრდილი საბჭოთა ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი თვისება, თქვა ვ. ვ. გრიშინმა, თანამიმდევრული ინტერნაციონალიზმია. ჩვენი ადამიანებისათვის უცხო არ არის ის, რაც მსოფლიოში ხდება. და, რა თქმა უნდა, მათ განსაკუთრებით ახლოს მიაქვთ გულთან სოციალისტური თანამეგობრობის მომძე ქვეყნების საქმეები. მათ შორის პოლონეთის თავისი ღირსეული ადგილი უკავია. მასთან მეტნაკლებად, მიღოონლით საბჭოთა ადამიანია დაკავშირებული. ზოგი პოლონელებთან ერთად იბრძოდა ფაშიზმის წინააღმდეგ ჩვენი ხალხების თავისუფლებისათვის; ზოგი მათ მხარდამხარ ნანგრევებიდან ადადგენდა ქალაქებს, აშენებდა ახალ ფაბრიკებსა და ქარხნებს; ზოგი კვერცხით ედგა მათ ჩარხებთან, უზიარებდა საყურადღებო გამოცდილებას; ზოგიც საბჭოთა და პოლონელ ადამიანებს აცნობდა სამამულო ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებს.

პოლონეთისადმი ჩვენი ადამიანების ინტერესი აბსტრაქტული კი არა, ყველაზე უშუალოა. ჩვენი ქვეყნის მშრომელები დიდად არიან შეშფოთებული იმის გამო, თუ როგორ წარიმართება მომავალში პოლონეთის საქმეები. სკკპ ცენტრალური კომიტეტი იღებს ასობით წერილს, რომლებშიც საბჭოთა ადამიანები გამოთქვამენ თავიანთ აზრს მოვლენების განვითარების შესახებ, ამბობენ, რომ პოლონეთის მუშათა კლასმა საკადრისი სამუხი უნდა გასცეს კონტრრევოლუციას, უცხადებენ სოლიდარობას სოციალისტურ პოლონეთს. შემიძლია აღვთქვამ, რომ ეს არის თქვენი ნამდვილი მეგობრების ხმა.

ასეთია, რა თქმა უნდა, მთელი ჩვენი პარტიის პოზიციაც. იგი ჩამოყალიბებული იყო თქვენთვის ცნობილ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილში პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი. ამიტომ მას აღარ გავიმეორებ. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ჩვენი ყველაზე დიდი სურვილია პოლონეთის მუშათა კლასმა მტრებს არ მისცეს შესაძლებლობა გადაახვევინოს სწორი, მარქსისტულ-ლენინური გზიდან, დაძლიოს ახლანდელი მძიმე ეტაპი ქვეყნის განვითარებაში, განამტკიცოს თავისი სოციალისტური. სახელმწიფო.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციამ ქარხნის კოლექტივს მიუძღვნა პანონ, რომელზეც მოსკოვია გამოსახული.

ᲢᲔᲚᲔᲢᲐᲙᲘᲠᲘᲡ ᲚᲔᲜᲢᲘᲓᲐᲜ

მოკლედ

● ᲑᲝᲜᲜᲘ

აქ გაიხსნა სოციალისტური ინტერნაციონალის ბიუროს სხდომა, რომელშიც მონაწილეობენ დასავლეთ ევროპისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების სოციალ-დემოკრატიული პარტიების ლიდერები. დღის წესრიგშია აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობა, მთელი რიგი სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურთა მექსიკის მომავალი შეხვედრა, რომელიც მიეძღვნება განვითარებული და განვითარებადი სახელმწიფოების ურთიერთობის პრობლემებს, აგრეთვე მდგომარეობა სალვადორსა და ნიკარაგუაში.

● ᲛᲐᲜᲐᲒᲣᲐ

რევოლუციის დაცვის სახელმწიფო კომიტეტმა ბოლოხოვის დაუყოვნებლივ გათავისუფლონ პარაგვაის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ანტონიო მაიდანა და პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ემილიო რომა, რომლებიც პარაგვაის „ემბოსკადის“ საპყრობილის დილეგებში იტანჯებიან. თავიანთ განცხადებაში სახელმწიფო კომიტეტმა გულისწყრომით დაგმეს ტრესნერის ფაშისტური დიქტატურის თვითნებობა და რეპრესიები.

● ᲚᲐᲒᲝᲡᲘ

ნიგერიის დედაქალაქ ლაგოსში გაიხსნა საერთაშორისო კონფერენცია „განიარაღება, განვითარება და რეგიონული უშიშროება აფრიკაში“. ამ ფორუმის მუშაობაში მონაწილეობენ აფრიკის მთელი რიგი ქვეყნების მეცნიერნი, საერთაშორისო ორგანიზაციათა წარმომადგენლები, პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების სპეციალისტები.

ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲘᲠᲐᲜᲨᲘ

თეირანი. **15 ივლისს ღამით თეირანში ამ ბოლო ორ დღეში მეორეჯერ თავს დაესხნენ ფარსის საინფორმაციო სააგენტოს შენობას. ვენტილიაციაში შეაგდეს ხელყუმბარა, რომლის აფეთქების შედეგად ერთი მოსამსახურე დაიჭრა.**

მარტო ერთ დღეში ირანის დედაქალაქის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში აფეთქეს 6 ხელყუმბარა და ბომბი, დაწვეს მოლას სახლი ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში, ერთ-ერთი მეჩეთი ბიბლიოთეკა და სხვა სახლები ხშირად ისმის სროლის ხმა. თავდასხმების რამდენიმე მონაწილე დაპატიმრებულია.

პროვინციებიდან მოდის ინფორმაცია მემარცხენე დაჯგუფებათა წევრების დაპატიმრების თაობაზე. სხვადასხვა ქალაქებში ხდება შეტაკებანი და თავდასხმები მთავრობის ორგანოების შენობებზე.

საერჩოს პროგესი

ბელგრადი. **როგორც ტანიუგის სააგენტო იუწყება, იუგოსლავიის საელჩომ ბელგიაში პროტესტი განაცხადა ბრიუსელში იუგოსლავიის საელჩოზე ამასწინანდელი ტერორისტული თავდასხმის გამო.**

იუგოსლავიის წინააღმდეგ ტერორისტულმა საქმიანობამ ბელგიაში, აღინიშნულია ცნობაში, ფართო მასშტაბი მიიღო. იუგოსლავია მოითხოვს მტკიცე ღონისძიებებს მიმართონ ამგვარი საქმიანობის აღსაკვეთად.

გაასამართლეს აგენტი

ბერლინი. **ბერლინის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქეს ა. ბეტტოლდს დასავლეთ გერმანიის ფედერალური სადაზვერვო სამსახურის სახარგებლოდ ჯაშუშური საქმიანობისათვის 10 წლის პატიმრობა მიუსაჯა.**

სამსჯავრო სხდომის მსვლელობამ, იუწყება აუნის სააგენტო, მთლიანად დაადასტურა, რომ იგი დასავლეთ გერმანიის დაზვერვის დავალებით ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და პოლონეთის წინააღმდეგ. კერძოდ, აგენტს კონტაქტები უნდა დაემყარებინა პოლონეთის მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფისა და ფენის წარმომადგენლებთან პროვოკაციული აქციების მოწყობის მიზნით.

ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲨᲘ

აპირებენ იუპის შესყიდვას

ნიუ-იორკი. **მს

გეორგიევსკის

ტრაქტატის

200 წლის

თავის გამო

წინაპართა ნათელ ნაკვალევზე

11—14 ივლისი

მოხდა ისე, რომ ორჯონიკიძიდან გროზნომდე მანძილის გავლას ერთი დღით მეტი დრო მოვანდომეთ და გრაფიკს ჩამოვრჩით. ამიტომ გროზნოდან ყიზლარისაკენ მიმავლები მხოლოდ შუადღით ვისვენებდით და მოგზაურობას ღამითაც განვაგრძობდით. უფრო მეტიც, დრო რომ მოგვეგო, ჩეჩნეთ-ინგუშეთის რეპორტაჟები ახლახან დაგწერეთ ყიზლარის მისადგომებთან, სადაც პტრე ბაგრატიონის ხეივანში დავბანაკდით. ეს ჩეჩნეთ-ინგუშეთისა და დაღესტნის საზღვარი გახლავთ.

პაპანაქება სიცხეა, თუმცა აქაურები ირწმუნებიან, გრილი ზაფხულიაო. ერთი სიტყვით, დღისით გზასა და სიცხეს ვებრძვით, ღამით — კოღოებს. ვეღარც მეფუტკრის ქუდი და ვერც მამასისხლად ნაყიდი მიხაკის ზეთი გვშველის, წყეული მწერი სქელ შარვლებშიც კი ატანს. ყველაზე მეტად იმათ თანავუგრძნობთ, ვინც ღამით მორიგეობს და კარავში ვერ ისვენებს.

წუხელ კი გვარიანად გავხალისდით, რადგან ექსპედიციის ნევრს კინოოპერატორ რევაზ მახათაძეს დაბადების დღე ჰქონდა და 30 წლის შესრულება სახელდახელოდ გაშლილ საზეიმო სუფრასთან მივულოცეთ.

ახლა 11 ივლისის დილაა, ცხენებს ვკაზმავთ და ყიზლარისაკენ მივემგზავრებით.



შამსუდინი — ხუროც და კაღაფოგიც

ქალაქ გროზნოს საქარხნო რაიონში თავისსავე აშენებულ ბინაში ცხოვრობს, ახალმოსახლობის სიამე თავადაც განუცდია და სხვათა სიხარულის პირველი მოზიარეც ბევრჯერ ყოფილა.

შამსუდინ ხაჯიევის დაძარღვულ ხელებს ბავშვობიდან დაბედებია მუყაითობა, უცდია, უშრომია, მაგრამ ორმოცი წლის ჯაფას ვერ მოუღლია. ბევრი შეგობარი ჰყავს, ბევრზე ბევრი — მისი მადლიერია.

— ვისვენებ, როგორ არა, — გვიპასუხა, როცა ვკითხეთ, მუშაობა კარგია, მაგრამ, დასვენებას თუ ასწრებო. — კვირა დღეს ჩამოვიარეთ, ჩავუყვები ქუჩებს, შევხედავ ჩემს აშენებულ სახლებს, საიდანაც აივნები და ბავშვები მიკინიან, სიიოლით მოვიღლები და დავისვენებ. საღამოს ან მეგობრებთან საუბრით, ან გაზეთებითა და წერილებით გავერთობი, გავეცნობი ქვეყნის ამბებს. თექვსმეტი წლისა რომ ხარაჩოებზე შევდექი, თავი დღესაც იმხელა მიწია მეგრნოს. ნახევარი საუკუნე კი გაქცეულა. ჩემი და ჩემი თანატოლების ოიბაბუკეც თან წაუღია და მოგონებები დაუტოვებია მხოლოდ. ისე, წლებს მაინც სიკეთე მოაქვს: გამოგცდის, გამოგჯირკვავს, შეგაყვარებს და სიყვარულს დაგაჯერებს.

საერთოდ. მოგზაურობის ტრფიალი ვარ. საქართველოში? საქართველოშიც ვყოფილვარ, პირველად თბილისს, გორსა და ქუთაისს ვესტუმრე. სხვა სიხარული მომანიჭა წლეულს ქართველთა ზეიმზე დაწრებამ, როცა პატივი მხვდა წილად და ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის წარგზავნილთა დელეგაციაში შემიყვანეს. გულნიკა და სტუმართმოყვარე ქართველებმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების 60 წლის თავი მშობლიური ერის, შრომისა, სილამაზის, მეგობრობისა და ინტერნაციონალიზმის დიდ და გაზუმეორებელ დღესასწაულად აქციეს. ამ ზეიმზე ყოფნისას მოვიახელე კომკავშირული ქალაქი ბორის ძნელაძე, სადაც ხვებთან ერთად ახალგაზრდა ზეიგაწმინდა ერთი ნერგი მეც დავრგე.

დიდხანს გვესაუბრა შამსუდინ ხაჯიევი, სოციალისტური შრომის გმირი. იგი ჩვენი დედაქალაქიდან კარგი შთაბეჭდილებებით დაბრუნებულა. საგულისხმოა მისი შრომითი ბიოგრაფიაც.

ჯერ კიდევ ყმაწვილობისას, 1949 წელს, სათავეში ჩასდგომია კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბრიგადას. შემდეგ მას ნიშნავენ ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკის მეორე სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირად. ოცდათერმეტი წლის განმავლობაში ეს ორმოცდაათამდე სახლის საძირკველი ჩაყარა. ააგო და ათი ათასამდე თანაქალაქელს ორდერთან ერთად ბინის გასაღებიც გადასცა. დიდია შამსუდინის ბრიგადა, ას ოცდაცამეტი კაცი ხლობინის მეთოდით მუშაობს, მიწის სამუშაოებით იწყებს და სახლს საბოლოოდ იერს აძლევს. გასული ხუთწლედი სამ წელიწადში შეასრულეს, თხუთმეტი სახლი ააშენეს, დაამშენეს, წლეულს კი უკვე ორი სახლის მშენებლობა დაიწყეს.

ბრიგადა ბინებს ასაღებ ადგილებზე ამზადებს. ეს ადგილები ადგილობრივ ხელისუფლებას ეკუთვნის.